**ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო**

# გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №183

2011 წლის 28 დეკემბერი
ქ. ქობულეთი

## ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე „ქრონიკულად პროგრესირებადი დაავადებების მედიკამენტოზური დახმარების პროგრამის“ დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 28 დეკემბრის №41 დადგენილებით დამტკიცებული ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესაბამისად დამტკიცდეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე „ქრონიკულად პროგრესირებადი დაავადებების მედიკამენტოზური დახმარების პროგრამა“ თანახმად დანართისა.
2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (მ. ცეცხლაძე).
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№-30).
4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**საკრებულოს თავმჯდომარე** **ნ. ბერაძე**